

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

საკრედიტო ბარათის საბანკო სესხის ხელშეკრულება №000000.000

XX.XX.XXXX

საპროცენტო განაკვეთი

- სესხის საპროცენტო განაკვეთის ტიპი - ცვლადი

- სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი:

პირველი სამი საანგარიშო პერიოდის მანძილზე მსესხებლის მიერ საკრედიტო ლიმიტიდან ათვისებულ სესხ(ებ)ს საპროცენტო სარგებელი არ დაერიცხება, თუ მსესხებლის მიერ პირველი ორი საგადახდო პერიოდის დასრულებამდე საკრედიტო ლიმიტიდან ათვისებული სესხ(ებ)ი დაიფარება მინიმალური შენატანებით, ხოლო მესამე საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე (მესამე დაანგარიშების თარიღამდე) მსესხებლის მიერ საკრედიტო ლიმიტიდან ათვისებული სესხ(ებ)ი დაიფარება სრულად.

- 19.00%, სავაჭრო ობიექტებში გახარჯვის შემთხვევაში და გადახდის ოპერაციებზე გახარჯვის შემთხვევაში,

- 28.00%, ბანკის ბანკომატიდან განაღდების შემთხვევაში.

- ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:

- 17.26%, მთლიანი თანხის სავაჭრო ობიექტებში/გადახდის ოპერაციებზე გახარჯვისა და ერთი წლის მანძილზე მინიმალური შენატანებით დაფარვის შემთხვევაში (გამოყენებული თანხის 2%-ის უკან დაბრუნების გათვალისწინებით),

- 31.89%, მთლიანი თანხის ბანკომატში განაღდებისა და 1 წლის მანძილზე მინიმალური შენატანებით დაფარვის შემთხვევაში.

საკრედიტო ლიმიტის მინიმალური შენატანებით დაფარვის შემთხვევაში ეფექტური განაკვეთის დათვლისას გათვალისწინებულია, რომ ლიმიტის გააქტიურება მოხდება ხელშეკრულების გაფორმების დღეს და საბოლოოდ დაიფარება 1 წლის თავზე.

ფინანსური ხარჯები

- განაღდების საკომისიო ბანკის ბანკომატებში - 0.00%.

შენატანები განისაზღვრება ათვისებული თანხისა და დაფარვის ვადების შესაბამისად.

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- საკრედიტო ბარათის ლიმიტის ოდენობა - X ლარი

- მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა:

- მთლიანი თანხის სავაჭრო ობიექტებში/გადახდის ოპერაციებზე გახარჯვისა და საკრედიტო ლიმიტის მინიმალური შენატანებით დაფარვის შემთხვევაში - X ლარი

- მთლიანი თანხის ბანკომატში განაღდებისა და საკრედიტო ლიმიტის მინიმალური შენატანებით დაფარვის შემთხვევაში - X ლარი

- საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადა - XX.XX.XXXX წლამდე

- სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადა - XX.XX.XXXX წლამდე

პირგასამტეხლოები

- საკრედიტო ლიმიტის ვადაზე ადრე დაფარვის საკომისიო - 0%.

- ვადაგადაცილების პირგასამტეხლო - ვადაგადაცილებულ თანხაზე წლიური 36%-ის დარიცხვა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%-სა, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით.

მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობები მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების 25-ე პუნქტში.

მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ორგანიზაციის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

ყოველთვიურ უფასო ამონაწერს მიიღებთ წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – <http://nbg.gov.ge/cp> და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

საბანკო სესხის ხელშეკრულება №000000.000

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია XXXX წლის XX ნოემბერს, ქალაქ თბილისში, ერთი მხრივ, ერთი მხრივ, სააქციო საზოგადოება „ხალიკ ბანკი საქართველოს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205236537, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N74, შემდგომში - „ბანკი“; საქართველოს ეროვნულ ბანკში ლიცენზირების ფორმა - კომერციული ბანკი; საზედამხედველო ორგანო - საქართველოს ეროვნული ბანკი; მისამართი: _____) წარმოდგენილი _____ (პ/ნ _____) სახით და მეორეს მხრივ, _____ (პ/ნ _____, რეგ. მისამართი: _____) შორის (შემდგომში „მსესხებელი“)

იმის გათვალისწინებით, რომ:

– ბანკისა და მსესხებლის შორის დადებული საგადახდო ბარათის გაცემისა და მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, მსესხებელისათვის გახსნილია მიმდინარე ანგარიში (შემდგომში „ანგარიში“) და გაცემულია საგადახდო ბარათი (შემდგომში „ბარათი“), მასზე წვდომის უზრუნველსაყოფად;

– მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ის საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება ინტერნეტის ქსელში, ბანკის ვებ-გვერდზე: <https://halykbank.ge/ka/individuals/agreements> განთავსებული საბანკო სესხის ხელშეკრულების ძირითადი პირობებით და იგი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მხარეებმა დადეს წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ბანკი ადგენს ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტს (შემდგომში „საკრედიტო ლიმიტი“), რომლის თანხის და ვადის ფარგლებშიც სთავაზობს მსესხებელს სესხებს (შემდგომში „სესხი“).
2. სესხის ტიპი: საკრედიტო ბარათი
3. საკრედიტო ლიმიტის ოდენობა: X ლარი
4. გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა:
 - 4.1. მთლიანი თანხის სავაჭრო ობიექტებში და გადახდის ოპერაციებზე გახარჯვისა და საკრედიტო ლიმიტის მინიმალური შენატანებით დაფარვის შემთხვევაში: X ლარი
 - 4.2. მთლიანი თანხის ბანკის ბანკომატში განაღდებისა და საკრედიტო ლიმიტის მინიმალური შენატანებით დაფარვის შემთხვევაში: X ლარი
5. სესხით სარგებლობის ვადა იწყება მსესხებლის მიერ საბანკო სესხის ხელშეკრულების ძირითადი პირობების 1.2. პუნქტში ჩამოთვლილი ოპერაციების შესრულების დღიდან.. ამასთანავე, სესხის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საკრედიტო ლიმიტის ვადას. საკრედიტო ლიმიტის ვადა განისაზღვრება XX.XX.XXXX წლამდე ვადით და იყოფა თანაბარ პერიოდებად, რომელიც უტოლდება 1 (ერთ) თვეს (შემდეგში - „საანგარიშო პერიოდი“), გარდა პირველი საანგარიშო პერიოდისა, რომელიც დაიწყება ანგარიშის გახსნის თარიღიდან და დასრულდება ამ ხელშეკრულების მე-15 პუნქტში მითითებულ დაანგარიშების თარიღში.
6. სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადა: XX.XX.XXXX წლამდე
7. სესხის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ცვლადი
8. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი:
 - 8.1. პირველი სამი საანგარიშო პერიოდის მანძილზე მსესხებლის მიერ საკრედიტო ლიმიტიდან ათვისებულ სესხ(ებ)ს საპროცენტო სარგებელი არ დაერიცხება, თუ მსესხებლის მიერ პირველი ორი საგადახდო პერიოდის დასრულებამდე საკრედიტო ლიმიტიდან ათვისებული სესხ(ებ)ი დაიფარება მინიმალური შენატანებით, ხოლო მესამე საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე (მესამე დაანგარიშების თარიღამდე) მსესხებლის მიერ საკრედიტო ლიმიტიდან ათვისებული სესხ(ებ)ი დაიფარება სრულად.
 - 8.2. სავაჭრო ობიექტებში და გადახდის ოპერაციებზე გახარჯვის შემთხვევაში: 19.00%
 - 8.3. ბანკის ბანკომატიდან განაღდების შემთხვევაში: 28.00%
9. სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:
 - 9.1. მთლიანი თანხის სავაჭრო ობიექტებში/გადახდის ოპერაციებზე გახარჯვის და ერთი წლის მანძილზე მინიმალური შენატანებით დაფარვის შემთხვევაში (გახარჯული თანხის 2%-ის უკან დაბრუნების გათვალისწინებით): 17.26% (ეფექტური განაკვეთის დათვლისას გათვალისწინებულია,

რომ ლიმიტის გააქტიურება/გახარჯვა მოხდება ხელშეკრულების გაფორმების დღეს და საბოლოოდ დაიფარება 1 წლის თავზე);

9.2. მთლიანი თანხის ბანკომატში განაღდება და ერთი წლის მანძილზე მინიმალური შენატანებით დაფარვის შემთხვევაში: 31.89% (ეფექტური განაკვეთის დათვლისას გათვალისწინებულია, რომ ლიმიტის გააქტიურება/გახარჯვა მოხდება ხელშეკრულების გაფორმების დღეს და საბოლოოდ დაიფარება 1 წლის თავზე).

9.3. სესხის გაცემასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები (რომლებიც გამოყენებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს) შეადგენს:

- ბანკის ბანკომატებში თანხების განაღდებას საკომისიო - 0.00%
- ბარათის წლიური მომსახურების საკომისიო - 0 ლარი

10. იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების დადებიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში მსესხებლის მიერ საკრედიტო ლიმიტიდან განხორციელდება თანხების ათვისება და ამასთან ერთად, საკრედიტო ლიმიტიდან ათვისებული თანხების დაფარვა მსესხებლის მიერ მოხდება ვადაგადაცილების გარეშე, აღნიშნული 12 (თორმეტი) თვის გასვლის შემდგომ, არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, ბანკი შეამცირებს სავაჭრო ობიექტებში და გადახდის ოპერაციებზე გახარჯვის შემთხვევაში გათვალისწინებულ სესხის წლიურ საპროცენტო განაკვეთს 1%-ის (ერთი პროცენტის) ოდენობით.

11. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება საკრედიტო ბაზარზე არსებული საპროცენტო სარგებლის განაკვეთების ცვლილება არანაკლებ 5 პროცენტული პუნქტისა ან/და ბანკის საკრედიტო პროდუქტების ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება, ისე რომ მსესხებლის სასარგებლოდ გაცემული სესხი შესაძლოა ზარალიანი აღმოჩნდეს ბანკისთვის ან/და საფრთხე შეუქმნას ბანკის ფინანსურ სტაბილურობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება ცალმხრივად გაზარდოს სესხის საპროცენტო სარგებლის განაკვეთი. აღნიშნულის შესახებ ბანკმა მსესხებელს უნდა აცნობოს არანაკლებ ორი თვით ადრე შეტყობინების ფორმით.

12. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი არ დაეთანხმება ამ ხელშეკრულების მე-11 პუნქტის საფუძველზე ბანკის მიერ საპროცენტო სარგებლის განაკვეთის გაზრდას, იგი ვალდებული იქნება ბანკის შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში სრულად დაფაროს ბანკის მიერ მსესხებლის სასარგებლოდ გაცემული სესხ(ებ)ი. მსესხებლის მიერ ამ ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში მსესხებელი ვალდებული იქნება საპროცენტო სარგებელი გადაიხადოს გაზრდილი განაკვეთის მიხედვით.

13. მსესხებლის მიერ საკრედიტო ლიმიტიდან სავაჭრო ობიექტებში და/ან ბარათით შესრულებული გადახდის ოპერაციების შედეგად გახარჯული თანხის 2% (ორი პროცენტი) ჩაირიცხება მსესხებლის ანგარიშზე (შემდგომში - „ქეშბეკი“). აღნიშნული პირობა არ გავრცელდება სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებულ გადახდის ოპერაციებზე; ამასთან, კალენდარული თვის განმავლობაში ქეშბეკის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს ამ ხელშეკრულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული საკრედიტო ლიმიტის ორმაგი ოდენობის 2 %-ს (ორი პროცენტი).

13.1. ბანკი უფლებამოსილია მსესხებლის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე ანგარიშიდან ჩამოჭრას ჩარიცხული ქეშბეკის თანხა ან/და მისი ნაწილი, თუ:

13.1.1. ბანკმა შეცდომით ჩარიცხა ქეშბეკი;

13.1.2. მსესხებელმა ბანკში დადგენილი წესით გაასაჩივრა ბარათით ჩატარებული გადახდის ოპერაცია, რომელზეც მას ჩაერიცხა ქეშბეკი;

13.1.3. მსესხებელს უკან დაუბრუნდა სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ბარათით შეძენილი ნივთის/მომსახურების ღირებულება, რომელზეც ჩარიცხული ჰქონდა ქეშ-ბეკი;

13.1.4. ნებისმერი მიზეზით გაუქმდა ბარათით შესრულებული გადახდის ოპერაცია, რომლის საფუძველზეც მსესხებელს ჩაერიცხა ქეშბეკი;

13.1.5. ქეშბეკი ჩაირიცხა ბარათით შესრულებული თაღლითური გადახდის ოპერაციის შედეგად;

13.1.6. გადახდის ოპერაცია შესრულებულია ისეთ სავაჭრო ობიექტში, რომელშიც განხორციელებულ გადახდაზე ბანკის მიერ არ ხდება ქეშბეკის დარიცხვა;

13.2 ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, ცალმხრივად შეცვალოს ქეშბეკის ოდენობა და/ან კალენდარული თვის განმავლობაში დასარიცხი ქეშბეკის მაქსიმალური ოდენობა და/ან გააუქმოს ქეშბეკი, რის შესახებაც ბანკი აცნობებს მსესხებელს არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, შეტყობინების ფორმით.

14. სესხის დაფარვის და სესხით სარგებლობისათვის დარიცხული სარგებლის გადახდის საშუალება: სესხით სარგებლობისათვის დარიცხული სარგებლის გადახდა და ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების ყველა სხვა თანხების გადახდა ხორციელდება უნაღდო წესით, ბანკის მიერ, ანგარიშიდან მათი უაქცეპტოდ ჩამოჭრის გზით, რომელიც შეივსება ნაღდი ან უნაღდო წესით.

15. სესხის დაფარვის მეთოდი: მსესხებლის შეხედულებისამებრ, სესხის და სარგებლის მთლიანი თანხის ერთდროულად ან ნაწილ-ნაწილ გადახდის გზით. ნაწილ-ნაწილ დაფარვის შემთხვევაში, ბანკისათვის გადასახდელი მინიმალური შენატანი უნდა შეადგენდეს წინა საანგარიშო პერიოდში სესხზე დარიცხული სარგებლის სრულ ოდენობას და სესხის ძირითადი დავალიანების ნაშთის 5%-ს (ხუთი პროცენტი). დაანგარიშების თარიღი (თარიღი, რომელშიც წარმოებს მინიმალური შენატანის დაანგარიშება) განისაზღვრება ყოველი თვის რიცხვით.

16. სესხის დაფარვა ხორციელდება საბანკო სესხის ხელშეკრულების ძირითადი პირობებით დადგენილი რიგითობის შესაბამისად.

17. სესხის დაფარვის და სესხზე დარიცხული სარგებლის გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში მსესხებელი უხდის ბანკს პირგასამტეხლოს ვადაგადაცილებული თანხის წლიური 36%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%-სა, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

18. სესხის და სესხზე დარიცხული სარგებლის დაფარვის წესი და პერიოდულობა რეგულირდება საბანკო სესხის ხელშეკრულების ძირითადი პირობებით.

19. მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბანკი მიმართავს საბანკო სესხის ხელშეკრულების ძირითადი პირობებით დადგენილ ზომებს.

20. ხელშეკრულება შედის ძალაში მისი ხელმოწერის თარიღიდან, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების პრეამბულაში, და მოქმედებს მსესხებლის მიერ ბანკის წინაშე, ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულების სრულ შესრულებამდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა საფუძველის დადგომამდე (წარმოშობამდე) (დამოკიდებულია იმაზე, რომელი გარემოება დადგება უფრო ადრე).

21. მხარეთა პასუხისმგებლობა, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, დადგენილია საბანკო სესხის ხელშეკრულების ძირითადი პირობებით.

22. მხარეების უფლება-მოვალეობები დადგენილია საბანკო სესხის ხელშეკრულების ძირითადი პირობებით.

23. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მსესხებელი:

1) ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო საბანკო სესხის ხელშეკრულების ძირითად პირობებს და ხელშეკრულების პრეამბულაში მითითებული ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისათვის მასში შეტანილ ყველა ცვლილებას და დამატებას, აცნობიერებს და ეთანხმება, რომ ყველა ის საკითხი რომელიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საბანკო სესხის ხელშეკრულების ძირითადი პირობებით და იღებს ვალდებულებას მკაცრად დაიცვას ხელშეკრულების ყველა დებულება.

2) ბანკს უცხადებს უპირობო და გამოუთხოვად თანხმობას ამ ხელშეკრულებით წარმოქმნილი ყველა დავალიანების თანხის, მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ: სასესხო დავალიანების (ძირითადი ვალის) დასაფარად საჭირო თანხის, სესხის საპროცენტო სარგებლის, საკომისიოების და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა გადასახდელების უაქცეპტო ამოღებაზე, მსესხებლის ყველა საბანკო ანგარიშებიდან, როგორც პირდაპირი დებეტირების გზით, ასევე იმ საგადახდო დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც არ საჭიროებენ მსესხებლის აქცეპტს.

24. მსესხებელი ინფორმირებულია და მისთვის ცნობილია, რომ:

24.1. ბანკი შეაგროვებს/დამუშავებს მსესხებლის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის (სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო (ს/ნ 204470740) ან ნებისმიერი სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე სუბიექტი) ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მსესხებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

24.2. მსესხებლის მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. ბანკის მიერ მონაცემთა დამუშავების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ კონფიდენციალურობის შეტყობინებაში, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

<https://halykbank.ge/ka/privacy-notice>

საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის გადასაცემი და მისგან მისაღები ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება): მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე საკრედიტო/სასესხო თუ სხვა სახის ფინანსური ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ საპროცენტო სარგებელს, მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ საკრედიტო/სასესხო თუ სხვა სახის ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ინფორმაციას უზრუნველყოფის საშუალებების შესახებ და სხვა ინფორმაციას, რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობით ან/და ბანკსა და საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

25. მსესხებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება:

25.1. მსესხებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

25.2. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ განცხადება წერილობითი ფორმით წარუდგინოს ბანკს, ბანკის ნებისმიერ ფილიალში/სერვის ცენტრში (ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე <https://halykbank.ge> მითითებულ მისამართზე) ან დისტანციური არხების (ინტერნეტბანკი/მობაილბანკი) მეშვეობით. მსესხებლის მიერ შეტყობინების სხვა ფორმით ნების გამოვლენა ხელშეკრულებაზე უარის შესახებ არ განიხილება სათანადო შეტყობინებად და არ წარმოშობს ბანკის საპასუხო ვალდებულებებს. მსესხებლის მიერ ბანკისათვის წინამდებარე პუნქტის შესაბამისად წარდგენილი წერილობითი განცხადება უნდა შეიცავდეს:

- მსესხებლის სახელს და გვარს/საფირმო სახელწოდებას
- მსესხებლის პირად ნომერს/საიდენტიფიკაციო ნომერს
- მსესხებლის რეგისტრაციის მისამართს/იურიდიულ მისამართს
- განცხადების წარდგენის თარიღს
- საკრედიტო ხელშეკრულების რეკვიზიტებს (ხელშეკრულების დადების თარიღი, ხელშეკრულების ნომერი), რომელზეც მსესხებელი იყენებს უარის თქმის უფლებას
- მსესხებლის ხელმოწერას

25.3. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ მსესხებლის მიერ ბანკისათვის 25.2. პუნქტით განსაზღვრული წერილობითი განცხადების წარდგენიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, მსესხებელი ვალდებულია ბანკს გადაუხადოს:

- სესხის ნარჩენი ძირითადი თანხა
- სესხის თანხაზე სესხით სარგებლობის პერიოდის განმავლობაში დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (სესხზე დარიცხული პროცენტი იანგარიშება ხელშეკრულებით შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთის მიხედვით)
- აუნაზღაუროს ბანკს ყველა ის ხარჯი, რაც დაკავშირებულია ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მესამე პირის მიერ გაწეულ/გასაწევ ხარჯებთან;
- შეასრულოს ბანკის მიმართ ამ ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოშობილი სხვა ვალდებულებები (მათ შორის, დარიცხული პირგასამტეხლო), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

25.4. მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე ამ ხელშეკრულების 25.3. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესასრულებლად საკმარისი (ხელმისაწვდომი) თანხის არსებობისთანავე, მსესხებელი წერილობითი განცხადებით მიმართავს ბანკს ვალდებულებების დასაფარად, ამ ხელშეკრულების 25.2. ქვეპუნქტში მითითებული ერთ-ერთი არხით/საშუალებით. მხარეები თანხმდებიან, რომ შესაბამისი ვალდებულებების სრულად დასაფარად საკმარისი თანხის ანგარიშზე არსებობის მიუხედავად, ამ პუნქტით განსაზღვრული განცხადების მიღებამდე, ბანკის მიერ ავტომატურად არ მოხდება თანხის უაქცეპტო წესით ჩამოჭრა და შესაბამისი ვალდებულებების დაფარვა.

25.5. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულების 25.3. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მომენტისთვის მსესხებლის ან/და მისი ანგარიშ(ებ)ის მიმართ არ უნდა მოქმედებდეს რაიმე სახის სამართლებრივი შეზღუდვა (მათ შორის, ყადაღა, აკრძალვა, ინკასო და ა.შ.) ან სხვა ისეთი გარემოება, რაც ხელს უშლის/აფერხებს ან შეუძლებელს ხდის მსესხებლის მიერ ვალდებულების შესრულებას. ბანკს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიღება არ/ვერ ხდება ნებისმიერი ასეთი გარემოების არსებობის გამო.

25.6. მსესხებლის მიერ ბანკისთვის ამ ხელშეკრულების 25.2. ქვეპუნქტის შესაბამისად წერილობითი განცხადების წარდგენის დღიდან, მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულების 25.3. და 25.4. ქვეპუნქტებით

განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, ასევე, ამავე ქვეპუნქტებით დათქმულ ვადებში ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულება რჩება ძალაში და უცვლელად ნარჩუნდება ბანკისა და მსესხებლის ყველა უფლება და ვალდებულება, გრაფიკით გათვალისწინებული შენატან(ებ)ის დადგენილ ვადაში გადახდის ვალდებულების ჩათვლით.

26. მსესხებელი უფლებამოსილია, ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი პრეტენზია წარადგინოს ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ბანკის ფილიალში ან ბანკის კანცელარიაში (სათავო ოფისში). წერილობითი პასუხის განხილვის და გაცემის მაქსიმალური ვადა შეადგენს 10 (ათი) დღეს. ინფორმაცია პრეტენზიის განხილვის პროცედურების შესახებ განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: www.halykbank.ge.

27. ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება საბანკო სესხის ხელშეკრულების ძირითადი პირობებით დადგენილი წესის შესაბამისად. საბანკო ხელშეკრულების ძირითადი პირობების ცვლილებები და დამატებები, რომლებიც აუმჯობესებენ მსესხებლის მდგომარეობას, ხორციელდება ბანკის მიერ ცალმხრივად და ძალაში შედის ბანკის მიერ გამოქვეყნებისთანავე, შესაბამისად, თუ ამ ხელშეკრულების და/ან საბანკო სესხის ხელშეკრულების ძირითადი პირობების ცვლილება ხორციელდება მსესხებლის სასარგებლოდ, მხარეები თანხმდებიან წინასწარი შეტყობინების ვალდებულების გაუქმებაზე.

28. დანარჩენ ნაწილში ხელშეკრულების პირობები რეგულირდება საბანკო სესხის ხელშეკრულების ძირითადი პირობებით.

29. ხელშეკრულება შედგენილია ორი იდენტური ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეული არის ორიგინალი და გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა, ამათგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მსესხებელს, ერთი ეგზემპლარი კი ბანკს.

ინფორმაცია მხარეთა შესახებ და ხელმოწერები

ბანკი

სს „ხალიკ ბანკი საქართველო“
ს/კ 205236537
თბილისი, კოსტავას ქ. №74
ტელ: (+995 32) 2 24 07 07

მსესხებელი

სახელი გვარი: _____
მისამართი: _____
ელ.ფოსტის მისამართი: _____
ტელ: _____
